საქართველოს პარლამენტის ოზურგეთის №59 მაჟორიტარულ ოლქში არჩევნების შედეგები

2016 წლის 8 ოქტომბერს ოზურგეთის №60 საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნების შედეგები ასეთია:

მაჟორიტარი დეპუტატი 14839 ხმით **არჩილ თალაკვაძე** გახდა (52,88%), – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“.

სხვა კანდიდატებმა შემდეგი ხმები მიიღეს:

№1 ზაზა მამულაიშვილი, „პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის“- 1108 ხმა, 3,95%;

№3 ავთანდილ ჩხაიძე, „ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა“–2020 ხმა, 7,2%;

№5 დავით მჟავანაძე, –„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“,–4968 ხმა, 17,7%;

№6 ნინო გოგუაძე, –„უსუფაშვილი-რესპუბლიკელები“, –272 ხმა, 0,98%;

№8 შოთა გოგიბერიძე, -„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი-საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“,– 1976 ხმა, 7,04%;

№10 დავით მამალაძე, -„შალვა ნათელაშვილი, საქართველოს ლეიბორისტული პარტია“,–483 ხმა, 1,72%;

№27 თეიმურაზ სალუქვაძე, – „ირაკლი ალასანია-თავისუფალი დემოკრატები“– 2066 ხმა, 7,37%;

№42 გოჩა ძიმისტარიშვილი, – დამოუკიდებელი კანდიდატი,–325 ხმა, 1,16.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №42 (10183), 6 ოქტომბერი, 2016 წ. ფასი 50 თეთრი.

დაბა ლაითურში სტიქიის შედეგად დაზიანებული 3 საცხოვრებელი კორპუსი გადაიხურა და გაზიფიცირების სამუშაოები მიმდინარეობს

დაბა ლაითურში სტიქიის შედეგად დაზიანებული სამი საცხოვრებელი კორპუსი გადაიხურა. დასრულებული სამუშაო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ დაათვალიერა და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

„აქ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი საერთო საცხოვრებელ სახლებში ცხოვრობს. დაზიანებული ინფრასტრუქტურის გამო ისინი წლების მანძილზე რთულ პირობებში ცხოვრობდნენ. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება ეტაპობრივად მოვაგვაროთ მათი პრობლემები. გადავხურეთ საცხოვრებელი კორპუსების უმეტესობა. ვიწყებთ წყლის პროექტს, მიმდინარეობს გაზიფიკაციის სამუშაოები. ამ მიმართულებით მუშაობის ტემპი არ დავარდება,“- აღნიშნა მერაბ ჭანუყვაძემ.

დაბა ლაითურში ბოლო 1 წლის განმავლობაში 40 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი და 10 კერძო სახლი გადაიხურა.

ახალი პარლამენტის სავარაუდო შემადგენლობა ცნობილია

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგები არ გამოუქვეყნებია, პირველადი წინასწარი მონაცემებით კი, მეცხრე მოწვევის პარლამენტის სავარაუდო შემადგენლობა უკვე ცნობილია.

საქართველოს საკანონმდებლო ორგანო 150 წევრისგან შედგება, სადაც 77 დეპუტატი პროპორციული სიის შედეგად არჩეულია, ხოლო 73 წევრი - მაჟორიტარული სიით.

არჩევნების პირველადი მონაცემებით, მომავალ პარლამენტში „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოდან“ პროპორციული სიით გიორგი კვირიკაშვილი, კახა კალაძე, ირაკლი კობახიძე, თამარ ჩუგოშვილი, გიორგი გახარია, აკაკი ზოიძე, თამარ ხულორდავა, რომან კაკულია, სოფიო ქაცარავა, ირინე ფრუიძე, კახაბერ კუჭავა, მანანა კობახიძე, ეკა ბესელია, ზვიად კვაჭანტირაძე, ზვიადი ძიძიგური, გია ჟორჟოლიანი, გიორგი გაჩეჩილაძე, ირაკლი კოვზანაძე, რუსლან პოღოსიანი, მახირ დარზიევი, არჩილ ხაბაძე, ლერი ხაბელოვი, სამველ მანუკიანი, ვიქტორ ჯაფარიძე, ნუკრი ქანთარია, ისკო დასენი, დიმიტრი სამხარაძე, ვანო ზარდიაშვილი, შოთა შალელაშვილი, ერეკლე ტრიპოლსკი, მირიან წიკლაური, გიორგი კახიანი, რევაზ არველაძე, დიმიტრი ცქიტიშვილი, გიგა ბუკია, თეიმურაზ კოხრეიძე, თეიმურაზ ჭკუასელი, სვეტლანა კუდბა, რატი იონათამაშვილი, დიმიტრი ხუნდაძე, ოთარ ჩრდილელი, ალექსანდრე ერქვანია, ენძელა მაჭავარიანი და გია ბენაშვილი მოხვდებიან.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ მომავალ პარლამენტში დავით ბაქრაძე, სანდრა ელისაბედ რულოვსი, ელენე ხოშტარია, რომან გოცირიძე, ნიკანორ მელია, გიორგი ტუღუში, ოთარ კახიძე, სალომე სამადაშვილი, ირაკლი აბესაძე, სერგი კაპანაძე, სერგო რატიანი, გიორგი კანდელაკი, ლელა ქებურია, გიორგი ბოკერია, კობა ნაყოფია, ირმა ნადირაშვილი, მამუკა ჩიქოვანი, თინათინ ბოკუჩავა, რამაზ ნიკოლაიშვილი, ზურაბ ჭიაბერაშვილი, ლაშა დამენია, ხათუნა გოგორიშვილი, თენგიზ გუნავა, ზაზა კედელაშვილი, აზერ სულიემანოვი, გიგი წერეთელი და აკაკი ბობოხიძე შევლენ.

რაც შეეხება ბარიერგადალახულ მესამე პარტიას, პარლამენტში დეპუტატის მანდატს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსიდან“ ირმა ინაშვილი, ადა მარშანია, ნატო ჩხეიძე, გიორგი ლომია, გელა მიქაძე და ემზარ კვიციანი ჩაიბარებენ.

მაჟორიტარული სისტემით მომავალ საკანონმდებლო ორგანოში „ქართული ოცნებიდან“ ზაზა ხუციშვილი, მამუკა მდინარაძე, ნინო გოგუაძე, გიორგი ვოლსკი, ირაკლი შიოლაშვილი, სავალან მირზოევი, გოდერძი ჩანქსელიანი, გოგი მეშველიანი, კახაბერ ოქრიაშვილი, რუსლან გაჯიევი, ზაქარია ქუცნაშვილი, გიორგი თორთლაძე, გედევან ფოფხაძე, ენზელ მკოიანი, ელგუჯა გოცირიძე, პაატა კვიჟინაძე, გრიგოლ ლილუაშვილი, გრიგოლ მიქელაძე, ცოტნე ზურაბიანი, გოჩა ენუქიძე, არჩილ თალაკვაძე, ოთარ დანელია, ანზორ ბოლქვაძე მოხვდებიან.

რაც შეეხება დარჩენილ დასაკომპლექტებელ 50 ადგილს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი მონაცემების თანახმად, გამარჯვებული კანდიდატების გამოსავლენად, არჩევნების მეორე ტური გაიმართება.

50 ოლქში ამომრჩეველთა ხმების 50%-ზე მეტი მაჟორიტარობის ვერცერთმა კანდიდატმა ვერ გადალახა. შესაბამისად, მეორე ტურის

▶▶▶ 33-2

ახალი პარლამენტის საპარაულო შემადგენლობა ცნობილია

აუცილებლობის საკითხი დადგა. მეორე ტურში მონაწილეობას იღებს ის ორი კანდიდატი, რომლებმაც პირველ ტურში ყველაზე მეტი ხმა დააგროვეს.

წინასწარი მონაცემების თანახმად, მეორე ტურში მონაწილეობას შემდეგი კანდიდატები მიიღებენ:

დამოუკიდებელი კანდიდატი - სალომე ზურაბიშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ -ნიკოლოზი რურუა; „ქართული ოცნება“ - ბიძინა გეგიძე და „ნაციონალური მოძრაობა“ - ელენე ხოშტარია; „ქართული ოცნება“ - ლევან გოგიჩაიშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ - სევდია უგრეხელიძე; „ქართული ოცნება“ - ბექა ოდიშარია და „ნაციონალური მოძრაობა“ - ირაკლი აბესაძე; „ქართული ოცნება“ - ირაკლი აბუსერიძე და „ნაციონალური მოძრაობა“ - გიორგი ონიანი; „ქართული ოცნება“ - დავით ჭიჭინაძე და „ნაციონალური მოძრაობა“ - ბესიკ კვიციანი; „ქართული ოცნება“ - ბექა ნაცვლიშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ - ზაზა კედელაშვილი; „ქართული ოცნება“ - გიორგი მოსიძე და „ნაციონალური მოძრაობა“ - ირაკლი ნადირაძე; „ქართული ოცნება“ - მარიამ ჯაში და „ნაციონალური მოძრაობა“ - დათო ჟღენტი; „ქართული ოცნება“ - შოთა ხაბარელი და „ნაციონალური მოძრაობა“ - გიორგი ხახნელიძე; „ქართული ოცნება“ - ზაზა პაპუაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ - დავით ნაფეტვარიძე; „ქართული ოცნება“ - ივლიანე წულაია და „ნაციონალური მოძრაობა“ - ირაკლი დვალი; „ქართული ოცნება“ - სოფიო კილაძე და „ნაციონალური მოძრაობა“ - მურმან თხელიძე; „ქართული ოცნება“ - მიხეილ ყაველაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ - მამუკა გუგეშაშვილი; „ქართული ოცნება“ - ზაზა გაბუნია და „ნაციონალური მოძრაობა“ - ლერი დემეტრაშვილი; „ქართული ოცნება“ - კობა კობალაძე და „ნაციონალური მოძრაობა“ - ალექსანდრე ჩაფიჩაძე; „ქართული ოცნება“ - ლევან კობიაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ - სერგო რატიანი; „ქართული ოცნება“ - ლევან კობერიძე და „ნაციონალური მოძრაობა“ - გიორგი ბარამიძე; „ქართული ოცნება“ - რომან მუჩიაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ - ზურაბ ჭიაბერაშვილი; „ქართული ოცნება“ - დავით სონღულაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ - გიორგი ღვინიაშვილი; „ქართული ოცნება“ - გურამ მაჭარაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ - გურამ კაკალაშვილი; „ქართული ოცნება“ - ირაკლი სესიაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ - გიორგი ბოტკოველი; „ქართული ოცნება“ - გელა სამხარაული და „ნაციონალური მოძრაობა“ - შაქრო ტერტერაშვილი; „ქართული ოცნება“ - პაატა მხეიძე და „ნაციონალური მოძრაობა“ - მამუკა ჩიქოვანი; „ქართული ოცნება“ - გიორგი ბეგაძე და „ნაციონალური მოძრაობა“ - დავით კირკიტაძე „ნაციონალური მოძრაობა“ - აკმამედ იმამკულიევი და „ქართული ოცნება“ - თამაზ ნავერიანი; „ქართული ოცნება“ - დიმიტრი ხუნდაძე და დამოუკიდებელი კანდიდატი - ცეზარ ჩოჩელი; „ქართული ოცნება“ - ირაკლი მეზურნიშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ - ნუგზარ ნონიაშვილი; „ქართული ოცნება“ - იოსებ მაკრახიძე და „თავისუფალი დემოკრატები“ - ირაკლი ალასანია (მან მეორე ტურში მონაწილეობაზე უარი განაცხადა); „ქართული ოცნება“ - თენგიზ ხუბულური და „ნაციონალური მოძრაობა“ - ბადრი ბასიშვილი; „თოფაძე - მრეწველები“ - სიმონ ნოზაძე და „ქართული ოცნება“ - ვალერი გელაშვილი; „ნაციონალური მოძრაობა“ - ვაჟა ჩიტაშვილი და „ქართული ოცნება“ - გიორგი კოპაძე; „ქართული ოცნება“ - გენადი მარგველაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ - გიორგი თევდორაძე; „ქართული ოცნება“ - დიმიტრი მხეიძე და „ნაციონალური მოძრაობა“ - აკაკი ბობოხიძე; „ქართული ოცნება“ - კობა ნარჩემაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ - გიორგი წერეთელი; „ქართული ოცნება“ - კობა ლურსმანაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ - გიორგი რობაქიძე; „ქართული ოცნება“ - შალვა კიკნაველიძე და „ნაციონალური მოძრაობა“ - ბეჟან ბუცხრიკიძე; „ქართული ოცნება“ - სულხან მახათაძე და „თავისუფალი დემოკრატები“ - თეიმურაზ გაფრინდაშვილი; „ქართული ოცნება“ - ნინო წილოსანი და დამოუკიდებელი დეპუტატი - აკაკი ჩხაიძე; „ქართული ოცნება“ - ირაკლი ხახუბია და „ნაციონალური მოძრაობა“ - ბექა ბასილაია; „ქართული ოცნება“ - ირაკლი ბერაია და „ნაციონალური მოძრაობა“ - კობა ნაყოფია; „ქართული ოცნება“ - მერაბ ქვარაია და „ნაციონალური მოძრაობა“ - ლევან კონჯარია; „ქართული ოცნება“ - ირაკლი ბერაია და „ნაციონალური მოძრაობა“ - მამუკა ჭოხონელიძე; „ქართული ოცნება“ - ედიშერ თოლორაია და „ნაციონალური მოძრაობა“ - სანდრა ელისაბედ რულოვსი; „ქართული ოცნება“ - გოგა გულორდავა და „ნაციონალური მოძრაობა“ - ლევან ქარდავა; „ქართული ოცნება“ - ფატი ხალვაში და „ნაციონალური მოძრაობა“- მირდატ ქამადაძე; „ქართული ოცნება“ - ლევან ბეჟანიძე და „ნაციონალური მოძრაობა“ - გიორგი კირთაძე; „ქართული ოცნება“ - მუხრან ვახტანგაძე და „ნაციონალური მოძრაობა“ - თეიმურაზ დუმბაძე; „ქართული ოცნება“ - კობა ნაკაიძე და „ნაციონალური მოძრაობა“ - ჯანსუღ ჯინჭარაძე; „ქართული ოცნება“ - ილია ნაკაშიძე და „ნაციონალური მოძრაობა“ - მიშა ბოლქვაძე.

აღნიშნულ ოლქებში ჩატარებულ მეორე ტურში გამარჯვებული კანდიდატები პარლამენტში დარჩენილ 50 ადგილს შეავსებენ.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

თემურ სალუქვაძემ პარტია „თავისუფალი დემოკრატები“ დატოვა

„თავისუფალი დემოკრატების“ ადგილობრივმა ლიდერმა თემურ სალუქვაძემ აღნიშნული პარტია დატოვა.

„მინდა მადლობა გადავუხადო ყველა ოზურგეთელს, ვინც საკუთარი სინდისით გააკეთა თავისუფალი არჩევანი. ვფიქრობ, დღეს, მნიშვნელოვნია, სწორად შევაფასოთ არსებული პოლიტიკური, თუ სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები და ყველამ ერთად ვიზრუნოთ იმ პრობლემების მოგვარებაზე, რაც მოსახლეობას აწუხებს.

რაც შემეხება მე, ყოველთვის ვთვლიდი და ვთვლი, რომ ბრძოლა უკეთესი მომავლისათვის აუცილებელია. ჩემს ცხოვრებაში კი ახალი ეტაპი იწყება, არსებული მოცემულობიდან გამომდინარე, ვტოვებ „თავისუფალი დემოკრატების“ რიგებს და მზად ვარ ჩემს ქვეყანას ვემსახურო, ყოველგვარი პარტიული ნიშნის გარეშე“–წერს თემურ სალუქვაძე სოციალურ ქსელში.

თემურ სალუქვაძე ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოდ დეპუტატია.

ბოხვაური-შემოქმედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი დასრულდა

საქართველოს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით ბოხვაური-შემოქმედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი დასრულდა, - ამის შესახებ ინფორმაციას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა ავრცელებს.

გამგეობის ცნობით, პირველ ეტაპზე 975 მეტრიანი საგზაო მონაკვეთის რეაბილიტაცია დასრულდა.

გზაზე ასფალტობეტონის საფარი მოეწყო. განხორციელდა გზის მოხაზვა. .მოასფალტებამდე განხორციელდა ხიდების, მილხიდებისა და მოსახლეების ეზოს მიმდებარე გადასასვლელების არმირება და დაცემენტება.

სამშენებლო სამუშაოების ღირებულება 398 841 ლარს შეადგენს.

პროექტი გარდამავალია და გზის ნაწილის რეაბილიტაცია მომავალი წლიდან გაგრძელდება.

სახელმწიფო პროგრამის მეორე ეტაპზე 21 ადამიანი დასაქმდა

ბიზნესის განვითარებისა და მოსახლეობის დასაქმების მიზნით სახელმწიფო პროგრამის - „მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა“ მეორე ეტაპზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური აგრძელებს ბენეფიციართა კონსულტაციებს. სამსახურის სპეციალისტების მიერ ბენეფიციარებისათვის გაწეული კონსულტაციების შედეგად, ამ დროისთვის, დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

ქართული ნაციონალური ტანისამოსის სამკერვალო, გრანტის მიმღები: მანანა მაკარაძე და გიტა გვალია, ქალაქი ოზურგეთი, პროექტის საერთო ღირებულება 12 000 ლარი. დასაქმდება 4 ადამიანი;

რესტორნის სერვისის გაფართოება, გრანტის მიმღები: მარინა ჩხაიძე, ლილი ბეშიტაიშვილი, დავით ბეშიტაიშვილი, სოფელი ლიხაური, (რესტორანი ნიბარური), გრანტის საერთო მოცულობა 18 000 ლარი, დასაქმდება 7 ადამიანი;

მეცხოველეობის განვითარება: გრანტის მიმღები: შოთა მგელაძე, სოფელი ნასაკირალი გრანტის საერთო მოცულობა 6 000 ლარი - დასაქმდება 3 ადამიანი;

მეცხოველეობის განვითარება, გრანტის მიმღები: გურგენ ლომჯარია, სოფელი ჭანიეთი, გრანტის საერთო მოცულობა - 6 000 ლარი, დასაქმდება 3 ადამიანი;

სამკერვალო სახელოსნოს გაფართოება, გრანტის მიმღები: ნატო ოსეფაიშვილი, ქალაქი ოზურგეთი, გრანტის მთლიანი მოცულობა - 6 000 ლარი, დასაქმდება 4 ადამიანი.

ჯამში, აღნიშნული პროექტის შედეგად სახელმწიფოსაგან გამოიყო 40 000 ათასი ლარი. დასაქმდა 21 ადამიანი.

№59 მაჟორიტარული ოლქი

მონაცემები 49 უბნის მიხედვით

ბანი \ სუბიექტი	1	3	5	6	8	10	27	41	42
ზვანის 1	27	85	70	11	80	12	53	407	17
ზვანის 2	47	34	76	19	56	11	27	354	5
რაიცენტრალური საავადმყოფო	28	34	79	13	55	8	35	352	14
მოიდანახის 1	40	76	75	5	61	10	56	429	5
მოიდანახის 2	16	19	88	6	48	4	44	315	6
ცენტრის 1	21	65	82	5	57	6	46	476	14
ცენტრის 2	24	39	101	10	61	14	52	432	7
სერი	23	41	99	4	44	7	63	550	10
ლაშე 1	22	39	68	9	35	15	40	382	2
მქადიის	23	34	57	4	38	3	56	232	1
ლაითურის 1	37	58	215	12	50	10	51	229	4
ლაითურის 2	22	62	141	2	55	17	40	306	5
ნარუჯის	15	44	236	6	7	10	22	142	3
ასკანის	11	64	75	5	17	8	38	237	10
მზიანის	0	9	40	2	8	3	10	89	0
ბახვის	7	209	53	2	10	8	45	213	3
ქვედა ბახვის	15	90	105	4	19	4	33	236	4
მშვიდობაურის	4*	53*	78*	1*	23*	5*	11*	134*	1*
ბოხვაურის	19	50	110	15	97	24	62	452	13
გურიანთის	174	22	77	3	39	13	37	311	2
დვაბზუს	26	39	102	11	43	12	17	383	6
გაღმა დვაბზუს	21	28	109	5	28	7	23	250	8
ვაკიჯვრის	13	31	48	3	26	4	34	247	5
ფამფალეთის	12	25	57	4	11	1	8	108	1
თხინვალის	5	19	81	6	25	7	74	249	5
კონჭკათის	1	18	86	2	36	11	79	523	7
ლიხაურის 1	8	25	133	7	88	20	86	291	7
ლიხაურის 2	13	27	109	2	66	6	19	307	20
მაკვანეთის	36	49	124	4	59	19	49	544	7
მელექედურის	42	59	93	6	38	6	61	391	15
მერიის	42	59	93	6	38	6	61	391	15
ნაღობილევის	14	60	113	6	105	11	55	331	10

ვინ მოიგო არჩევნებით?!

საკუთარ სახლში ნათქვამი სიმართლე

რა განსხვავებაა ქართულ არჩევნებსა და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობას შორის? ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში კვანტი აკრძალულია, მხოლოდ ხელით, მკლავით უნდა შეერკინო მოწინააღმდეგეს, არჩევნებში კი, აშკარად თუ მალულად, ყველაფერი მოსულა – კვანტი, ფისტი, დემაგოგია, დესტაბილიზაცია, შანტაჟი, გინება, ცემა-ტყეპა, ცილისწამება, ხმების დასაცავად ოდესიდან ცესკომდე გვირაბის გათხრა, უკაცრავად ვარ და, მოწინააღმდეგის ბეჭებზე დასახეთქებლად თითის მიცემაც კი, ოღონდ არამარკირებულის.

აგერ, ძირითადად დამთავრდა არჩევნები (არა მგონია, მეორე ტურს რაიმე არსებითი ცვლილება მოყვეს) და ნახეთ, რა დღეში არიან?! წაგებულები, როგორც ყოველთვის, ბუზღუნებენ, „უჯერიოაო“, გამარჯვებულები კი, ულვაშზე თუ საულვაშეზე ხელის გადასმით ამბობენ, კარგია, მაგრამ უკეთესადაც შეიძლებოდაო. შეწუხებულია ამომრჩეველიც, რამეთუ არ იცის, მავანის შემოხაზვისთვის სად და როგორ მოეხაზება.

ერთი სიტყვით, არჩევნები ვინ მოიგო ცნობილია, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა არჩევნებით ვინ მოიგო – „ქოცებმა“, წინა არჩევნების შედეგებზე დაბალი პროცენტული მაჩვენებლით ხელისუფლებაში ყოფნა ისევ რომ გაინაღდა; „ნაცებმა“, ისეთი შედეგის (27 პროცენტზე ცოტა მეტი) „ჩვენებით“, ბოლო ორ არჩევნებზე რომ არ ღირსება; „პატრიოტთა ალიანსმა“, ხუთპროცენტიანი ბარიერი რის ვაივაგლახით რომ გადალახა; სხვა პოლიტიკურმა პარტიებმა, ჯამში სალუკმაპუროდ ხმების მხოლოდ 15 პროცენტამდე რომ აღმოაჩნდათ თუ დაპირებებითა და მოქრთამვით ახუნტრუცებულმა ამომრჩეველმა?

აქ მაინც განსაკუთრებული და ცალკე თემაა „ნაცები“ – ე. წ. კოჰაბიტაციით გათავხედებული პარტია, რომელსაც, წინა ცოდვებსა და სისტემურ დანაშაულობებს რომ შევეშვათ (ისე, რატომ უნდა შევეშვათ?!), ბოლო ოთხი წელიწადია ქვეყანაში არაფერი გაუკეთებია საბოტაჟის, საპროტესტო აქციების გამართვის, დესტაბილიზაციური ფონის შექმნისა თუ სხვა სახის მავნებლური ქმედების გარდა; პარტია, რომელმაც ნახევარი მილიონი ადამიანი ამჯერადაც გააბრიყვა და ნაცვლად იმისა, რომ ამომრჩეველს ხელებს უკოცნიდეს, უკმაყოფილოა, გამარჯვება უნდოდა, თურმე (წარმოგიდგენიათ?!) და ახლა ჭოჭმანობს, ლამის აქეთ გვახვეწოს, შევა თუ არ შევა პარლამენტში.

სოციალურ ქსელს თუ დაეჯერება, ახალ პარლამენტში „ნაცების“ შესვლა-არშესვლაზე პირველად „სუპერექსპერტი“ გია ხუხაშვილი ალაპარაკდა, რომელიც ივანიშვილსა და „ქოცებს“ კარგა ხანია აღარ წყალობს.

ხუხაშვილო, „ხუ“ ხარ, შვილო?! (მკითხველთან ბოდიში). ამ გავეშებულ და გაბოროტებულ „ნაცებს“ კიდევ ეს უნდოდათ? რა სჭირთ შენი სასწავლებელი? რა, მიშამ „ნაცების“ „აღმაშენებელმა“ და ოდესის „დამაშენებელმა“ შენზე უკეთ არ იცის, როგორ ატეხოს ბუნტი? არ შევლენ და მოს... პატრონი!!! როგორმე გადაიტანს უმაგათობას ქართული პოლიტიკა.

„ნაცების“ და ხუხაშვილის გადამკიდე, კინაღამ უპასუხოდ დაგვრჩა კითხვა: ჩამოთვლილთაგან ვინ მოიგო არჩევნებით? ჩემი აზრით, სამწუხაროდ, არც ერთმა! კი, საერთაშორისო სტანდარტების ფარგლებში წარიმართა ყველაფერი, რითაც, თურმე, დავამტკიცეთ „ჩვენი ახალგაზრდა დემოკრატიის სიმწიფე“, მაგრამ, თუ მართალი გაინტერესებთ, არჩევნებით მოიგეს იმ ძალებმა, ყოველ შემთხვევაში მათმა ერთმა ფრთამ მაინც, ვინც ამ ბოლო დროს ყველაზე მეტად აფათურებს ხელს ჩვენი ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში, ვინც დემოკრატობანას თამაშში სახსარნაღრძობ კალიასავით გვახტუნავებს ევროპასა თუ ოკეანისგაღმეთში, ვინც აგულიანებდა და აგულიანებს, პროდასავლური პარტიის იმიჯს უქმნის საკუთარი, განსხვავებულად მოაზროვნე ხალხის ყველანაირად გამთელავ „ნაციონალებს“, საეჭვოდ ეფართხება თავზე ქვეყნის ნომერ პირველ დემაგოგ, ცრუ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ს“, წამიწამ ჩაგვჩიჩინებს, რომ ჩვენი ერთადერთი მტერი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ოკუპანტი მეზობელია (ვითომ არ ვიცნობდეთ და არ ვიცოდეთ), მეზობელი, რომელიც ისედაც აღრენილია და მიზეზს ეძებს ჩვენს ტერიტორიებზე ტორის დასადებად.

შეიძლება, ძალიან მკვახედ ნათქვამია, მაგრამ ყოველივე ამის შემდეგ საეჭვოდ მიმაჩნია ჩვენი ქვეყნისადმი ოკეანისგაღმელთა სტრატეგიული პარტნიორობაც და ევროპელთა დისტანციური დამოკიდებულებაც. აღარაფერს ვამბობ კიდევ ერთ ძალაზე, რომელმაც ეკონომიკურად კარგა ხანია დაგვიპყრო და ურომლისოდაც, თურმე, შიშშილით ამოგვხდებოდა სული.

ბარემ, მოკლედ იმის შესახებაც, რას უნდა ველოდოთ ახალი პარლამენტისგან. „ნაცების“ ბელადმა საკუთარ ფეისბუკგვერდზე უკვე დადორბლა ამის შესახებ სტატუსი. მომავალი ოთხი წლის განმავლობაში ისინი კიდევ უფრო გაძლიერებენ საბოტაჟსა და დესტაბილიზაციას; „ქოცები“, რომელთა საოცნებო, „ნაცებთან“, „ნაცების“ სატელიტ პარტიებთან და „ნაცების“ მხარდამჭერ არასამთავრობოებთან ბრძოლაში მოფამფალებული ფრთები სულაც აღარ ჰგავს ანგელოზისას, შეეცდებიან, მომავალში აინაზღაურონ, რაც ამ არჩევნებში დაკარგეს; „პატრიოტთა ალიანსი“, ალბათ, მოურავობას დასჯერდება. დანარჩენი პარტიები კი, რომელთა არასწორმა სამოქმედო და საარჩევნო სტრატეგიამ მეტწილად შექმნა ქვეყანაში ეს სიტუაცია, თავიანთ წარმომადგენლებს ხელის ბიჭებად თუ მიამაგრებს ამ სამეულს... „ლებედ, რაკ და შუკას“ იგავამდე მივედით, მგონი. ამიტომ, ჩემი პროგნოზი ასეთია: ვერ ავშენდებით. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე. კარგი იქნება თუ არ გადავშენდებით.

P. S. გასული საუკუნის ერთ-ერთ თვალსაჩინო კრიტიკოსს, ბატონ ბესო ჟღენტს ერთმა ახალგაზრდამ ლექსები მოუტანა და რეცენზია თხოვა, თურმე. ბესოსაც ვერ გაუტეხავს ხათრი, ამდგარა და გაზეთში, რადიოსა და ტელევიზიაში უქია და უქია ეს ახალგაზრდა, მოკლედ, ლომის წილი შეუტანია ამ ლექსების გამოქვეყნებაში.

ცოტა ხნის შემდეგ ცნობილ კრიტიკოსს სტუმრები წვევია სახლში და უკითხავთ მისთვის, რა ნახე ასეთი იმ ბიჭის ლექსებში, ცაში რომ აიყვანეო? არაფერი, კაცო, ვერ მოვიშორე და რა მექნაო?! – უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილა ბატონი ბესო.

მეორე დღეს ეს ამბავი მთელ თბილისს მოსდებია. გაუგია იმ ბიჭსაც და მწერალთა კავშირში მიუკითხავს რეცენზენტისთვის, ბატონო ბესო, ეს რა მიქნით, თავი მომჭერითო?

გაბრაზებულა აღიარებული კრიტიკოსი: რას შემიჩნდი, შვილო, შენ? გაზეთში გაქე, რადიოში გაქე, ტელევიზიაშიც გაქე და საკუთარ სახლში აღარ მათქმევინებ სიმართლესო?!

ბატონ ბესოს თავს როგორ გავუტოლებ, მაგრამ, მგონი, მასეა ჩემი საქმე. შინ ვთქვი ეს, ჩემთვის და თუ არ მოგეწონათ, მაინცა და მაინც გულთან ნუ მიიტანთ.

თემურ მარშანიშვილი

მასწავლებელთა საერთაშორისო დღე აღინიშნა

მარი კოძოევი

ქალაქ ოზურგეთში მასწავლებელთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა. საზეიმო შეხვედრაზე მიწვეულები იყვნენ პედაგოგები რომელთა მოსწავლეებმაც 2015-2016 სასწავლო წელს წარმატებებს მიაღწიეს. ასევე დამწყები, წარმატებული და ღვაწლმოსილი პედაგოგები. მასწავლებლებს პროფესიული დღე მიულოცეს ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა, ლელა იმედაშვილმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, დავით დარჩიამ, გამგებლის მოადგილემ, არჩილ ყაზაიშვილმა, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა მაიზერ ცელაძემ, ქალაქ ოზურგეთის კულტურის სამსახურის უფროსმა, მარინა ჯაფარიძემ და ოზურგეთის მერიასი განათლების, კულტურიდა და გენდერის სამსახურის სპეციაისტმა, თემურ მოქიამ.

სპმთპ-ის იზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ქალბატონმა, როზა გოგუაძემ მოწვეულ პედაგოგებს პროფესიული დღესასწაული მიულოცა და სპმთპ-ის პრეზიდენტის ქალბატონ მაია კობახიძის წარმატებული პედაგოგიური საქმიანობისათვის მადლობის სიგელი და რაიონული ორგანიზაციის მადლობის ბარათი გადასცა .

პედაგოგები ფასიანი საჩუქრებითა და ყვავილებით დაჯილდოვა ქალაქ ოზურგეთის მერიამ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა. პედაგოგებისათვის გამოჩენილი ყურადღებისათვის როზა გოგუაძემ ადგილობრივ ხელისუფლებას მადლობა გადაუხადა.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციით თავმჯდომარემ, როზა გოგუაძემ ღვაწლმოსილ პედაგოგებს: გუგული ძიძიგურსა და ლამარა სიხარულიძეს სახლში ესტუმრა, პროფესიული დღესასწაული მიულოცა და დაასაჩუქრა. ქალბატონი როზა პედაგოგებს მიმართავს: „ძვირფასო პედაგოგებო! გულწრფელი სიყვარულითა და უღრმესი პატივისცემით გილოცავთ პროფესიულ დღესასწაულს. მადლობას გწირავთ მუხლჩაუხრელი შრომისთვის, გულისხმიერებისა და კეთილსინდისიერებისათვის. აუწყავია თქვენი საქმისადმი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება. გმირობის ტომფასია თქვენი შრომა, რომელიც ბრძნულ მოთმინებასა და დიდ სიყვარულს ითხოვს ბავშვებისადმი, ხალხისადმი, თქვენი პროფესიისადმი. უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდათ.

მასწავლებელთა საერთაშორისო დღე 1994 წლიდან აღინიშნება. მისი ფუძემდებელია განათლების ინტერნაციონალი რომლის 401 წევრი ორგანიზაცია მსოფლიო მასშტაბით აღნიშნავს 5 ოქტომბერს მათ შორის საქართველოც.

№59 მაჟორიტარული ოლქი

მონაცემები 49 უბნის მიხედვით

დასაწყისი მესამე გვერდზე

ხვარბეთის	32	28	71	4	57	12	31	139	4
მთისპირის	10	33	145	2	6	2	14	243	1
სოფ. ოზურგეთის	26	41	160	14	47	20	51	433	14
შემოქმედის	35	20	102	8	66	9	81	519	14
გომის	14	18	29	1	25	3	14	159	12
წითელმთის	15	16	60	7	32	11	22	204	2
შრომის	28	49	153	5	24	16	67	302	11
ხრიალეთის	15	36	138	2	28	15	33	568	12
ცხემლისხიდის	13	6	47	5	21	24	30	290	9
ბაღდადის	13	49	74	2	24	12	65	215	4
ჭანიეთის	15	11	263	3	19	4	7	256	1
ცენტრის 3	9	54	80	3	56	5	90	301	3
ლაშე 2	13	52	65	5	40	8	46	307	0
ანასეული	8	22	78	6	20	13	27	290	1
ნარუჯა	19	24	310	6	61	10	56	125	7
გურიანთის 2	64	21	88	1	22	6	29	182	5
შრომის 2	5	19	65	3	14	14	18	173	2

მკითხველის თვალსაზრისი

x x x

ჩვენი უთავობის, ანუ „მახვილი“ თავხედობის მაგალითები უამრავია, მაგრამ შევეხები მხოლოდ გამოკვეთილებს.

1) არჩევნების შემდეგ დ. უსუფაშვილმა განაცხადა, რომ „ნაცმოძრაობამ“ შესანიშნავად ითამაშა ის როლი, რომელიც მას ბ. ივანიშვილმა უბოძაო“. ვეთანხმები, მაგრამ, როცა თვითონ დ. უსუფაშვილმა პარლამენტის თავმჯდომარის რანგში, ჩეხეთში ოფიციალური ვიზიტის დროს, განაცხადა, რომ ჩვენი მთავრობის უპირველესი დამსახურება „ნაცმოძრაობის“ მუშა რეჟიმში შენარჩუნებაო“. ეს ცოტა არ იყოს, გაუგებარი იყო და, როგორც მახსოვს, არამარტო ჩემთვის. ეს განცხადება უსუფაშვილმა გააკეთა იმ მომენტში, როცა მთელი პარლამენტი, მისივე თავმჯდომარეობით, დაკავებული იყო კასრებში მოპოვებული პირადი ცხოვრების ამსახველი ამაზრზენი კადრების (მასალების) განადგურებით, ნაცვლად იმისა, რომ მტკიცებულებათა საფუძველზე უმკაცრესად დაესაჯათ დამკვეთნიც და შემსრულებლებიც. მაშინ „ნაცმოძრაობა“ საპარლამენტო არჩევნებში ვერანაირად ვერ მიიღებდა 30%-ს, თუ საერთოდ გამქრალი არ იქნებოდა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებიდან.

ასე რომ, საკითხავია თვითონ უსუფაშვილი რა როლს ანიჭებდა მაშინ „ნაცმოძრაობას“?!

2) ყველაზე სტრატეგიული ჩვენთვის იმ სასმელი წყლის ინდუსტრიაა, რომელზეც რამდენიმე წელია ღაღადებს აკადემიკოსი პაატა გიორგაძე. მისი გათვლებით, პირველ ეტაპზე ოთხი, შემდეგ 12 მილიარდი დოლარით გამდიდრდება ქვეყნის ბიუჯეტი, ხოლო არც თუ ისე შორეულ მომავალში თითოეული ოჯახი 460 ათასი დოლარის მატერიალური ფასეულობის მფლობელი გახდება. ამის გარდა, უამრავი მაღალფასიანი სამუშაო ადგილებიო და ა. შ.

თუ გიორგაძის გათვლები სწორი არ არის და ვერ გაუგია, რას სთავაზობენ ამ საქმით დაინტერესებული უცხოელები, რატომ ამ წლების მანძილზე ვინმე კომპეტენტური ფინანსთა თუ ეკონომიკის სამინისტროდან არ გამოეხმაურა ამ წერილებს და არ მიუთითა ავტორს მის შეცდომებსა თუ აბსურდულობაზე, რომ მსგავსი უსაფუძვლო წერილებით ნუ გააღიზიანებენ ისედაც გაღიზიანებულ საზოგადოებას. თუ, როგორც ირკვევა, ჩვენს მაძღარ ხელისუფლებას სრულებით არ აწუხებს მშიერი ხალხის პრობლემები?!

შეიძლება, მისი სიჩუმე ამ საქმის გარშემო იმის მიმანიშნებელია, რომ გიორგაძის გათვლები სწორი და საფუძვლიანია, მაგრამ თვითონ ხელისუფლება ვერ ურიგდება საყოველთაო კეთილდღეობას საქართველოში???

გამორიცხული არც ის არის, რომ ფარული ხელი, რომელიც მართავს საქართველოს, ბლოკავს ყოველივე ამას იმისათვის, რომ მათ სულ სხვა გეგმები აქვთ ამ სტრატეგიულ „დერეფანში“.

3) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიაში მდინარე ნატანების კალაპოტში ექსკავატორები ნორმით დაშვებულზე მეტი სიღრმიდან ასიათასობით კუბურ მეტრ ინერტულ მასალას იღებენ, რაც საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ მერიასა და მიმდებარე სოფელს, არამედ მთლიანად ოზურგეთს, რასაც მხოლოდ ქალაქის ტერიტორიაზე მდინარის სანაპიროს დამბირება ვერ უშველის. პირიქით! გვაინტერესებს, რა შენდება ოზურგეთის დანგრევის ხარჯზე? ვეჭვობთ, რომ გამარჯვების შემთხვევაში, თვით ჰიტლერიც კი ასე ბარბაროსულად არ მოექცეოდა ჩვენს მიწა-წყალს.

ვისაც დააინტერესებს, რატომაა წერილი უსათაურო, პასუხია ორიგინალური. სიტყვა „სათაურის“ ფუძე არის „თავი“, რომელიც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არასდროს ყოფილა და არც ახლა არის საქართველოში (რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ბოლოდროინდელ არჩევნებზე). ვინმეს ახსოვს საქართველოში, ჩინოვნიკების გარდა, ადამიანები დალხინებული ყოფილიყო?

ეს ხომ ეროვნული უბედურებაა, საუკუნეების მანძილზე გქონდეს პრეტენზია უძველეს კულტურასა და სახელმწიფოებრივობაზე და არ გყავდეს თავი, რომელიც ქვეყნის მართვა-გამგეობისათვის მონახავდა ისეთ დამცველ მექანიზმს, როცა ხალხის მიერ დაქირავებული ხელისუფლება (დაქირავებული და არა არჩეული, ეს სხვადასხვა კატეგორიებია, რაც ჩვენი მენტალიტეტის მქონე ხალხისთვის დამღუპველია) იქნება მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის სამსახურში. მივბაძოთ ინგლისს, იაპონიას, სკანდინავიის ქვეყნებს და არა ჩვენივე არჩეულ ბარბაროსებსა თუ უნიათოებს, რომლებიც მხოლოდ თავისმართლებით არიან დაკავებული და არა სახელმწიფოებრივი სახელისუფლო საქმიანობით. ჭკუათმყოფელი ერი ჩვენსავით არ იქცევა.

გრამიტო (გერმანე) მამინაშვილი.
ტელ. 551 95 75 22.

22 ოქტომბერი - ახალი ისტორიული თარიღი თეატრისათვის

მიმდინარე კვირის 22 ოქტომბრიდან ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა და შენობის დიდი ნაწილი საქველმოქედო კომპანიის „ქართუ" და საშენებლო კომპანიის „ატუ“ მშენებელთა განკარგულებაში გადადის.

მანამდე თეატრი ერთგულ მაყურებელს და პატარებს კიდევ სამჯერ ამოგზაურებს „ფიფქია და შვიდი ჯუჯას“ ჯადოსნურ სამყაროში ამორტიზებულ, უკომფორტო, მაგრამ მშობლიურ გარემოში.

ვასო ჩიგოგიძე: „ – 19,20,21 ოქტომბერს, 15. 30 სთ.-ზე თეატრში არსებულ დიდ სცენაზე გვაქვს ბოლო სპექტაკლი, 21 ოქტომბერი შევა თეატრის ისტორიაში როგორც ერთი დიდი ეტაპის დასასრული და 1962 წელს ამოქმედებული დიდი სცენა პირველად, არსებობის ნახევარი საუკუნის მანძილზე, რეაბილიტაციისათვის რამდენიმეწლიან პაუზას აიღებს.

ამ გარემოში და ამ პირობებში ჩვენი დიდი სცენა და თეატრი აღარ გვქონება ოზურგეთში. ამიტომ, მოვუწოდებ ჩვენს ერთგულ მაყურებელს მოიყვანონ პატარები სპექტაკლზე „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ და სიხარულის ცრემლით დავეშვიდობოთ ერთ დროს შესანიშნავ, დღეს ამორტიზებულ, ჩვენთვის ძვირფას სცენას.

22-დან იწყება შენობის დაცლა, არსებული უზამაზარი ქონების დახარისხება, ვარგისის შენახვა, ხოლო უვარგისის ჩამოწერა. მადლობა ლევან თოიძეს, ქალაქის მერს ბეგლარ სიორიძეს, მუნიციპალიტეტის გამგებელს მერაბ ჭანუყვაძეს, ქალაქისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოებსა და მათ თავმჯდომარეებს დავით დარჩიასა და გელა კობალაძეს, განსაკუთრებით იმ გულანთებულ გურიანთლებს, რომლებმაც შემოგვთავაზეს გადავსულიყავით გურიანთის კულტურის სახლში, რომელსაც გაზაფხულისათვის გაარემონტებენ და ჩვენ ერთობლივად შევძლებთ რომ კიდევ ერთი თეატრალური სივრცე მივიღოთ გურიანთაში.

უკვე ერთ თვეში ჩვენ გვექნება პრემიერა მცირე სცენაზე და ზამთრის პერიოდში და შემდგომში მას აქტიურად დავუტვირთავთ.

ასევე ოვეგმება ჩასვლა ჩოხატაურსა და ლანჩხუთში, დეკადები საქართველოსა და უცხოეთის მასშტაბებით, მონაწილეობა ფესტივალებში. გვექნება პრემიერები, რომლებიც შეგვიქმნის შესანიშნავ საზას მოახლოებულ თეატრის 150 წლის იუბილისათვის."

ლია კილაძე,
თეატრის პრესსამსახურის
უფროსი

გადავარჩინოთ ქართული სელექციური ჩაის გენოფონდი

პერსპექტივაში, სელექციური ჯიშებისაგან ჩაის პლანტაციების გაშენება თვისობრივად ახალ ეტაპზე გაიყვანს მეჩაიეობის დარგს, რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ექნება ამ რეგიონში დასაქმებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად.

გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალი წარმოადგენდა ქართული სელექციური ჩაის აკვანს. აკადემიკოს ქსენია ბახტაძის მიერ გამოყვანილი ქართული სელექციური ჩაის ჯიშები პირველად აგრობიოლოგიურ, ტექნოლოგიურ და ბიოქიმიურ შესწავლას გადიოდნენ ჩაქვის ლაბორატორიებსა და ექსპერიმენტალურ ბაზებზე. აქვე იყო განთავსებული სელექციური ჯიშების სათესლე პლანტაციები, საიდანაც ყოველწლიურად 10 ტონამდე კონდიციურ თესლს ამზადებდნენ, მეჩაიეობის სხვადასხვა რეგიონში უხვმოსავლიანი და მაღალხარისხოვანი სამრეწველო პლანტაციების გასაშენებლად. ნაწილი თესლებისა გადიოდა საზღვარგარეთის ქვეყნებშიც .

აქვე საფუძველი დაედო უნიკალური ჩაის ჯიში „კოლხიდას“ კლონურ სელექციას, რომელიც სელექციონერების მიერ იქნა შერჩეული 1939 წელს. სწორედ სელექციურმა ჯიშებმადა კლონებმა მისცა დასაწყისი უხვმოსავლიანი და მაღალხარისხოვანი პლანტაციების გაშენებას. გასული საუკუნის 70-90-იანი წლებში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზებზე (ანასეული, ჩაქვი, სოხუმი, ზუგდიდი, ფოთი, წყალტუბო) ყოველწლიურად იწარმოებოდა 5 მილიონამდე ამ ჯიშის ვეგეტატიურად გამრავლებული (კალმების დაფესვიანებით) ნერგი, რითაც წარმოებაში შენდებოდა ასობით ჰექტარი ჩაის პლ-ანტაცია. ჯიში კოლხიდას მოსავლიანობით (10-12 ტონა/ჰა) და ხარისხობრივი მაჩვენებლებით გაოცებული იყვნენ უცხოელი ჩაის სპეციალისტები, გემოთი და არომატით მას დარჯილინგის ჩაისაც კი ადარებდნენ.

სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებისა და წარმოების კოორდინებულმა საქმიანობამ ჩაის წარმოების მხრივ საქართველო მსოფლიოში მე-5-6 ადგილზე გაიყვანა და ყოველწლიურად100-120 ათას ტონა მზა პროდუქციას აწარმოებდა. დღეს საქართველოს მოსახლეობა უცხო ქვეყნებიდან იმპორტირებულ გაურკვეველი წარმოებისა და ხარისხის ჩაის სვამს ყოველწლიურად 800 ტონის მოცულობით, რაშიც ჩვენი ჯიბეებიდან ათეული მილიონობით დოლარი გაედინება, მაშინ როდესაც საქართველოს მეჩაიეობის რეგიონებში შემორჩენილი ჩაის პლანტაციებიდან მიზერული 200-300 ტონა პროდუქცია მზადდება საექსპორტოდ და შიდა მოხმარებისათვის.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად იზრდება მოთხოვნილება ეკოლოგიურად სუფთა ქართულ ჩაიზე, ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ კომპანიებისა და ინდმეწარმეების მიერ გამომუშავებული ხარისხოვანი ჩაის ერთი კილოგრამის ფასი 30-60 ლარის ფარგლებში მერყეობს.

ჩაის პროდუქციაზე სარეალიზაციო ფასების ზრდასთან ერთად მატულობს ფერმერთა დაინტერესება ამ კულტურის არ მარტო არსებული პლანტაციების რეაბილიტაციის მიმართ, არამედ ჩნდება ინტერესი ახალი მაღალმოსავლიანი პლანტაციების გასაშენებლად. ეს ინტერესი კიდევ უფრო განამტკიცა მიმდინარე 2016 წელს თხილის კულტურის ძალზე დაბალმა მოსავალმა და ფასმა. სამწუხაროდ მიუხედავად ჩვენი ყოველმხრივი ინფორმირებულობისა, გასული 10 წელი გამოირჩეოდა ჩაის პლანტაციების მასიური ამოძირკვითა და თხილის გაშენების ისტერიული კამპანიით.

დღეს, როდესაც ჩაის კულტურის რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაი“ ამოქმედდა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ანასეულის ლაბორატორია აქტიურად მონაწილეობს აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში, ამასთან ჩვენს ინტერესებში შედის ქართული სელექციური ჩაის გენოფონდის მოძიება და რეგენერაცია. სამწუხაროდ, ჩაქვის ფილიალის ყოფილ ტერიტორიაზე, რამდენიმე წლის წინ ჩაის ჯიში „კოლხიდას“ საჩვენებელი 5 ჰა პლანტაცია, რომელიც მეცნიერების ძვირფას რელიქვიას წარმოადგენდა, მთლიანად ამოიძირკვა, დღეს მის ადგილზე გაშენებულია აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სერვის ცენტრის დაქვემდებარებაში ფუნქციონირებადი „ციტრუსოვანთა სადემონსტრაციო ნაკვეთი“ მისი სანერგე მეურნეობით. ჩვენ მივესალმებით ასეთი ნაკვეთების მოწყობას, რომელიც აუცილებლად კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს,მაგრამ ხომ უკეთესი იქნებოდა ერთ ჰა-ზე მაინც შეენარჩუნებინათ სადემონსტრაციოდ ეს ღვთაებრივი კულტურა. ასევე განადგურებულია ჩაის უბნის ტერიტორიაზე სელექციური ჩაის სათესლე ნერგაობა 10 ჰა-ზე.

სავალალო მდგომარეობაშია ჩაქვის ყოფილი ფილიალის ლაბორატორიულ შენობებთან არსებული აკადემიკოს ქსენია ბახტაძის, პროფესორ ვახტანგ კუტუბიძის, მეცნიერებათა დოქტორების ტატიანა მუტოვკინას და მიხეილ კოლელიშვილის მიერ ათეული წლების განმავლობაში რუდუნებით მოძიებული, გაშენებული და მოვლილი ჩაის საკოლექციო ნარგაობა. ეკალ-ბარდშია გახვეული ჩაის ჯიში „კოლხიდას“ სუმუზეუმოდ ქცეული 80 წლის ის ერთადერთი ბუჩქი, რომელმაც დასაბამი მისცა ქართული ჩაის თვისობრივად ახალ სიმაღლეზე განვითარებას.

2011 წლიდან ჩაქვის ფილიალი საქართველოს აგროუნივერსიტეტის მფლობელობაშიგადავიდა. დღეს ჩაქვის ფილიალის ყოფილ ტერიტორიას განკარგავს ამავე სისტემაში ფუნქციონირებადი შ.პ.ს „აგრომეტი“ . აჭარის რეგიონალურ ხელისუფლებას, რომ გამოეჩინა კეთილი ნება მესაკუთრეებთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეეძლო ამ უნიკალური სელექციური ქართული ჯიშების გადარჩენა და სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ აჭარის მოსახლეობამ, როგორც სხვა რეგიონებში მასიურად შეუწყო ხელი ჩაის სამრეწველო პლანტაციების ამოძირკვას და თხილის კულტურის გაშენებას. ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ დღეს, როდესაც ქვეყანაში ამოქმედდა სახელმწიფო თანადაფინანსების პროგრამა „ქართული ჩაი“ აჭარის რეგიონიდან, სადაც ჩაის პლანტაციების საერთო რაოდენობა ექვსი ათას ჰა-ს აღემატებოდა, არცერთი სუბიექტი არ დარეგისტრირებულა.

აჭარა (ჩაქვი) ხომ საქართველოში ჩაის გავრცელების პირველ კერად ითვლება. პირველიჩაის პლანტაციები სალიბაურში, პირველი ჩაის გადამამუშავებელი ჩაის ფაბრიკა ჩაქვში, პირველი ქართული სელექციური ჯიშები და კლონები, ჩაის სახლი და რამდენიმე რამ აკავშირებს ამ უნიკალურ ადგილს საქართველოში მეჩაიობის განვითარების ისტორიასთან. ჩაქვის ჩაის სახლი ხომ უცხოელი სტუმრებისა და ტურისტების ერთ-ერთი უნიკალური და მიმზიდველი ობიექტი იყო. მითუმეტეს პერსპექტივაში, როდესაც აჭარა და კერძოდ ბათუმი, ქობულეთი შავი ზღვისპირა დასასვენებელი საკურორტო ადგილების საუკეთესოთა სიაში მოიხსენიებიან, რაოდენ მნიშვნელოვანი იქნებოდა ჩაქვის ჩაის კულტურის ისტორიულ მუზეუმად ქცევა.აჭარის რეგიონს ჯერ კიდევ შემორჩენენ მეჩაიეობის დარგის ისეთი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები როგორიცაა: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი რეზო ჯაბნიძე, ტეკნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი ტარიელ მამულაშვილი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორები ავთანდილ მესხიძე, ოთარ ქაბულია, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი შოთა ლომინაძე და სხვები. მიუხედავად ხანდაზმულობისა კიდევ ბევრ კეთილ საქმეს გააკეთებს პროფესორი ვახტანგ კუტუბიძე. ყველა ზემოთ ხსენებული პიროვნება წლების მანძილზე მუშაობდნენ ჩაის სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის სისტემაში და ამ დარგის ნამდვილ პატრიოტებად გვევლინებიან. იმედია მათი თანადგომით აჭარის ახალი საქართველოს სუბტროპიკული ზონის წითელმიწა, ეწერმიწა და ყვითელმიწა ნიადაგებზე - უალტერნატივოა.

ჩვენ პატივს ვცემთ ყველა კულტურებს, რომელიც ჩვენს მადლიან მიწაზე ხარობს და შემოსავალს იძლევა, მაგრამ ნუ ვიქნებით სულსწრაფნი, დავერყდნოთ ქართველი მეცნიერების რჩევებს და სწორად გავიაზროთ კულტურათა განაშენიანების საუკუნოვანი ტრადიციები. დამაფიქრებელი და საფრთხილოა სპონტანური ლტოლვა თხილისა და ციტრუსების მონოკულტურებისადმი, რომლებიც სამყაროს გლობალური დათბობისა და კლიმატური ცვლილების მიმართ გაცილებით სარისკო და მგრძნობიარენი არიან, ვინემ ჩაის კულტურა.

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითიო ცენტრის ანასეულის ლაბორატორია ქმნის წინაპირობას ითანამშრომლოს ყველა სუბიექტთან, რათა არ დაიკარგოს ჩაის ისტორიული გენოფონდი, შეიქმნას პირველადი ბაზა მისი მოძიების, გამრავლების და სათესლე ნარგაობის გაშენების კუთხით, რათა უახლოეს პერსპექტივაში ფერმერს, გლეხს, მცირე მეწარმეს გაუჩნდეს მოტივაცია ჩაის პერსპექტიული ჯიშებით ახალი სამრეწველო პლანტაციების გასაშენებლად.

ზაურ გაბრიჩიძე-
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.
საქართველოს ეკოლოგიურ
მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი
რუსუდან ტაკიძე-
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი.
იოსებ ბასილია -
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
დოქტორი

გურიის პენსიონერთა კავშირში აქტუალურ თემებზე მსჯელობენ

1 ოქტომბერს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში. გაიმართა გურიის პენსიონერთა კავშირის წევრთა შეკრება.

რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გურამ ცერცვაძემ დამსწრეებს მიულოცა უხუცესთა მსოფლიო დღე, უსურვა მათ მშვიდობა, ჯანმრთელობა და სიკეთით სავსე ცხოვრება. მიმოიხილა საერთაშორისო მდგომარეობა და აღნიშნა, რომ სადღეისოდ არეულობაა ჩვენს სამეზობლოში – თურქეთში, რუსეთში, სომხეთსა და აზებაიჯანში (ყარაბახის საკითხი), სირიაში ომი მძვინვარებს, რომელშიც ჩართულია თანამედროვეობის ორი ბირთვული სახელმწიფო – რუსეთი და აშშ.

ჩვენთან, უფლის წილხვედრ ქვეყანაში სიმშვიდეა და ჩვენი ამოცანაა ასეთ წყნარ გარემოში განვაგრძოთ ცხოვრება, რომელიც დიდი შრომასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს სახელმწიფოს და თითოეული მოქალაქის მიერ. მეტად მნიშვნელოვანია მე-9 მოწვევის საკანონმდებლო ორგანოში ღირსეულთა არჩევა.

ამის შემდეგ გაიმართა პენსიონერთა კავშირთან არსებული მეცნიერთა კლუბის წევრთა მოსაზრებების განხილვა. ღონისძიებას ესწრებოდნენ მეცნიერების აკადემიური დოქტორები გურამ ღლონტი, რუსუდან ტაკიძე, ანგელინა ნიკოლაიშვილი, გურამ ცერცვაძე, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი, ვარსკვლავოსანი ვახტანგ მამეიშვილი, ჟურნალისტი როლანდ თავაძე, პედაგოგები ლამარა ყაზაიშვილი, რომა ქარცივაძე და სხვები.

ბატონმა ვახტანგ მამეიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ამზადებს ადამიანის ზნეობაზე გაზეთ „სანთელის“ მორიგ ნომერს, უფინანსობის გამო კი, ჭირს მისი გამოშვება. გურამ ცერცვაძემ აღუთქვა მას ამ გაზეთის საკუთარი ოჯახის დანაზოგებით დაფინანსება. ქალბატონმა რუსუდან ტაკიძემ აღნიშნა, რომ რაიონში მიწების ინვენტარიზაცია ბოლომდეა მისაყვანი, ასევე აღნიშნა, რომ შესაღობია ჩაის ფართობები, რომელსაც აჩანაგებს მოთარეშე პირუტყვი.

ბატონმა გურამ ღლონტმა ისაუბრა ჩაის პროდუქციის ხარისხზე და მისი მოყვანისათვის გაწეული კაპიტალური დაბანდების მოცულობაზე. ჩვენი მიზანი უნდა იყოს სუბიექტურ ფაქტორთა აღმოფხვრა და ისეთი გარემოს შექმნა, რომლის დროსაც დარგი შენარჩუნებული იქნება ოპტიმალურ ფარგლებში. უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის, საგარეო ვაჭრობის უარყოფითი ბალანსი რომ დადებითად შეიცვალოს.

ჟურნალისტმა როლანდ თავაძემ ისაუბრა ჟურნალისტის მოვალეობასა და პასუხისმგებლობაზე საზოგადოების წინაშე.

ქალბატონმა ლამარა ყაზაიშვილმა აღნიშნა, რომ მეტი ყურადღება უნდა ექცეოდეს მათემატიკური ანალიზის სწორად და მიზნობრივად გამოყენებას სოფლის მეურნეობაში.

დაისვა კითხვა გურამ ცერცვაძის მიერ თხილის დაავადებათა ნუსხისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების საკითხზე, რომელზედაც სრულყოფილი პასუხი იქნა გაცემული ქალბატონი ანგელინა ნიკოლაიშვილის მიერ.

აღინიშნა, რომ დღეს მსოფლიოში მავნებლის მიერ მსოფლიო დანაკარგი შეფასებულია 74,9 მილიარდ დოლარად, რაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 40%-ს შეადგენს.

დასავლეთ საქართველოში ფიტოსანიტარული გამოკვლევებით თხილის ფერმერულ მეურნეობებში აღმოჩენილია შემდეგი ძირითადი მავნებელ-დაავადებები: თხილის შავი ხარაბუზა, ამერიკული თეთრი პეპელა, ვაზის ლურჯი რწყილი, თხილის ცხვირგრძელა, მთვარისებრი მზომელა, თხილის ბუგრი. თხილის ყავისფერი სიდამპლე, თხილის ნაცრისფერი სიდამპლე და თხილის ნაცარი. მათ წინააღმდეგ მასშტაბურად გამოიყენება სხვადასხვა სახის პესტიციდები.

ბატონმა გურამ ცერცვაძემ აღნიშნა, რომ აუცილებელია თხილისა და სხვა კულტურების დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა. ამასთანავე აღნიშნა, რომ დაინტერესებულ პირთათვის გაიმართება პენსიონერთა კავშირის ინიციატივით უფასო-რჩევა-დარიგების მიცემა სპეციალისტთა მიერ (ტრენინგი).

დიდ მადლობას ვუხდით ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის წარმომადგენლებს თამარ კუპრაძესა და გრიგოლ მახარაძეს უხუცესთა კეთილი მოპყრობისა და ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

გურამ ცერცვაძე,
გურიის პენსიონერთა კავშირის
თავმჯდომარე,
ეკონომიკის მეცნიერებათა
აკადემიის დოქტორი.

სამგლოვიარო განცხადება

ბახუტა, დათია ოთხმეზურები იუწყებიან უახლოესი ნათესავის **გელა სიამაშვილის** გარდაცვალებას.

განცხადებები

იყიდება ბინა გრიბოედოვის ქუჩა №21-ში, I სართული, 90 კვადრატული მეტრი, რომელიც გამოიყენება საცხოვრებლად, კომერციული საჭიროებისათვის, საოფისედ.
ტელ. 599 58 75 32.

* * *

იყიდება მიწის ნაკვეთი 9400 კვადრატული მეტრი ქობულეთის ტრასაზე, ანასეულის გადასახვევიდან 400 მეტრის დაშორებით.
ტელ. 599 58 75 32.

სკანვორდი



შეკვეთილის წმინდა ნიკოლოზის სიმაგრე, ოზურგეთის ეკონომიკური ყოფა-ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ №31-33,36-39 2016 წელი

რუბრიკას უძღვება ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი მანანა მემარნიშვილი

1853 წლის დასაწყისში შეკვეთილის სგუშაგზე გახშირდა ავაზაკთა თავდასხმები. ირგვლივ დენთის სუნი ტრიალებდა. მოგვიანებით მაგრამ მაინც ხელისუფლების დავალებით სარდლობამ დაიწყო მისი გამაგრება. სიმაგრის დასაცავად გამყოფილ იქნა შავი ზღვის სახაზო ბატალიონის მე-12 ბატალიონის „ორი შენაერთი 255 კაცის შემადგენლობით, რამდენიმე კაზაკთა და 2 ზარბაზანით". სამხედრო შენაერთს კაპიტანი შერბაკოვი მეთაურობდა. 11 ოქტომბერს ამ რაზმს მთავარმართებლის მიერ გამოგზავნილი ერთი ასეული და ორი ზარბაზანი დაემატა.

სამხედრო ძალთა ამ უმნიშვნელო გუნდით შეხვდა შეკვეთილის წმინდა ნიკოლოზის სგუშაგო „ყირიმის ომად" სახელდებულ „აღმოსავლეთის საკითხის"



სტრაბონი


ევლია ჩელები

მორიგი გაშწვავების ნიადაგზე წარმოქმნილ სისხლისმღვრელ ომს, რომელიც სრული ამოგდებითა და განადგურებით დაემუქრა ოზურგეთსა და მის მდამოებს.

მამა გურიელის ზეობიდან მოკიდებული კიდრე 1905-1907 წლების „რევოლუციური ქარტეხილების აზვირთებამდე" ოზურგეთის ქვეყნიდან შეკვეთილის ფორტის საშუალებით ოზურგეთის ქვეყნიდან დიდი რაოდენობით გაედინებოდა ხე-ტყე, რომელიც დღეისათვის ესოდენ შემაშფოთებელ ხასიათს იძენს.

ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინად, ცნობილი ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი გურიის მხარეში არსებული დიდძალი ხე-ტყის მარაგის შესახებ იუწყებოდა: „კოლხთა სამშობლოში მოიპოვება ნავთსაშენი ყოველი მასალა, რადგან აქ იზრდება ხშირი ტყე და მდინარეებითაც ჩამოიტანება".

არცთუ შორეულ წარსულში, გასული საუკუნის შუა პერიოდში მდინარე სუფსა-მოგროსის ნაპირები „დაფარული იყო ე.წ. შავი ტყით, რომელშიაც ბუდობდა აუარებელი ნადირი: დათვი, მგელი, ირემი, გარეული ღორი, შველი, და სხვა. იმ დროს ეს ტყე მშვენიერი სანადირო იყო, მნახველი განცვიფრებაში მოჰყავდა აუარებელ თვალუწვდენი ვაზის ხეებს, რომლებიც ამყად გადასცქეროდნენ არე მარეს, მაგრამ შეუბრალებელმა ბარბაროსობამ ეს ტყე გაანადგურა".

მე-17 საუკუნის თურქი მოგზაური ევლია ჩელები (1640-1647 წ.წ.) წერდა: „ამ მიდამოებში (დას. საქართველო ეგ.) მუები მთლიანად ბზის ტყითაა დაფარული".

რუსეთის ვრცელი იმპერიის ფინანსთა მინისტრი გრაფი კანკრინი იუწყებოდა: „ამერკავკასიამ, როგორც რუსეთის კოლონიამ მეტროპოლია უნდა მოამარაგოს სამხრეთის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი მკენარეული და სხვა ნედლეულით".

1842 წლის 11 იანვარს კავკასიის მთავარმართებელი ევგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინი (1837-1842 წ.წ.) კავკასიის მომავალ მეფისნაცვალს (1844-1854 წ.წ.) გრაფ მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვს აუწყებდა: მიზანშეწონილად მიმაჩნია „ჩემი წინადადება, რომ დარსდეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ვაჭრობის კომპანია, რომლის საგანი იქნება უპირატესად მერქნის, საშენებლო და საშეშე ტყის გატანა.

1842 წლის 28 მაისს ივივე გოლოვინი სამხედრო მინისტრს, კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარეს, გენერალ ადიუტანტ ალექსანდრე ჩერნიშოვს მოახსენებდა: „ოდესღაც ბერძენთა და გენუელთა კოლონიებით მოფენილი შავი ზღვის აღმოსავლეთის სანაპიროები ვაჭრობის მხრივ წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის ქვეყანას... ამ სანაპიროებზე ჩვენი ბატონობის სასწრაფოდ განმტკიცებისათვისაც აუცილებელია დაწესდეს მასსა და სამხრეთ რუსეთს შორის სავაჭრო ურთიერთობა. საეჭვო არაა, რომ ასეთი ურთიერთობა, იმასთანავე დიდად შეუწყობს ხელს როგორც ამერკავკასიის ასევე სამხრეთ რუსეთის გამდიდრებას.

სამხრეთ რუსეთში გაუსაღებლად რჩება დიდძალი პირველი მოთხოვნილებების პროდუქტები... და მრავალი ნაკეთობანი, რომელთა საქართველოს სამხედრო გზით ამერკავკასიაში შეზიდვა მეტად გაძნელებულია... და მეორე მხრივ, აქედან, მაგალითად გურიიდან ბევრი მომგებიანი საქონლის — ხე-ტყის გატანა შეიძლება. გურულმა თავადებმა ხელშეკრულებები დადეს თურქეთის ქვეშევრდომ სარდინიელ ბოზოსთან და ინგლისელ ვაჭრებთან (მართან) 40 ათასი მანეთის მუხის მრქანის მოწოდებაზე... მათთვის (გურულებისთვის) ახლანდელ მდგომარეობაშიც უცხო არაა ვაჭრობისა და ოკარისადმიც კი მისწრაფება... ხე-ტყის აქედან გატანის ოპერაციები პერსპექტიულია.

ამ ნაწარმოებებით ვაჭრობა აბორიგენებს აიძულებს გაკეთონ ტყე, რასაც მოყვება ჭაობების ამოშრობა და ჰაერიც თანდათანობით გაიწმინდება და აღარ იქნება დამლუპველი, ხე-ტყისა და შეშის მიტანა მთიელებს აიძულებს გაჭრან ტყეები, და გაიყვანონ გზები.

მიღებული სარგებლობის მეოხებით ისინი უფრო ხშირად მოვლენ გაცვლის პუნქტებში და დაუახლოვდებიან რუსებს და... ეწნებათ რა გამდიდრების სხვა საშუალება ნელა-ნელა თავს დანებებენ თავიანთ მხედრულ მიდრეკილებებს.

ოფიციალური სამხედრო ისტორიკოსი, ჩუდანოვი, რომელმაც ვრცლად და უაღრესად ტენდენციურად აღწერა 1841 წლის გურულთა ჯანყ რუსული მმართველობის წინააღმდეგ. ერთგან მუეთითებს: გურია მთაგორიანი მხარეა, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ქვეყნის ზღვისპირეთი, რომელიც მთლიანად დაფარულია უდაბური ტყით. ამ ტყეებში გავლა შეუძლებელია დღესაც.

გაუვალი და უღრანი ტყეები იყო „რიონის შესართავიდან კინტრიშის შესართავამდე. ზღვისპირა დიუნების აღმოსავლეთი ბზანარევი წიფლნარით იყო დაფარული. ტყის უკან ჭაობების ფართო ზოლი მდებარეობდა. განსაკუთრებით ფართო იყო ეს ზოლი რიონის და ჩოლოქის შესართავთან. ნოტიო სუბტროპიკული ჰავის წყალობით ტერიტორიის მეტი ნაწილი ხშირი დაბურული ტყით (ურეკით) იყო დაფარული, რომელშიაც თითქმის გაუვალი ქვე-ტყე, ბუჩქნარი, ლიანები და გვიმრა იყო მოდებული.

ყირიმის ომის (1853-1855 წ.წ.) მსვლელობის შესახებ სამხედრო ისტორიკოსი ფადეევი, ნაშრომში: „სამოცი წლის შემდეგ კავკასიის ომებიდან" გურიის მხარის „ოზურგეთის ქვეყნის" ზღვისპირეთის გაუვალი ტყეების და ჭაობების შესახებ წერდა: „ტყეების, ჭაობებისა და მდინარეებს შორის მცხოვრები გულადი ქრისტიანული მოსახლეობა, ერთგული ერთმორწმუნე რუსეთისა, წარმოადგენდა ისეთ თავდაცვით ძალას, როგორც ჩვენ არ გაგვაჩნია ამერკავკასიის სხვა პუნქტში.

ამ მხარის მოსახლეობამ, — მითითებულია იქვე, — რომელიც შესანიშნავად იცნობს ყველა ბილიკსა და გასასვლელს, ჭაობებსა და ტყეებში პირდაპირი ნადირობა გამართა შემოჭრილი მტრის ურდოების წინააღმდეგ... თურქი დამპყრობლები როგორც გარეული მხეცები სამარცხვინოდ იღუპებიან ტყეებსა და ღრეებში.

გასული საუკუნის 80-იან წლებშიც კი, გურიის ზღვისპირეთში ლაღად შრიალებდა უღრანი ჯერ კიდევ ხარობდა ბზის იშვიათი მკენარეული სფარი.

1883 წლისათვის: „შეკვეთილის „წმინდა ნიკოლოზის ფორტი სასარგებლოა გურიის ნაწარმია ზღვით გასაგზავნად. გურიიდან ზღვით აგზავნან მხოლოდ სიმინდს, მცირე რაოდენობით თაფლის სანთელს, ბზის ხეს, რომელიც უხვად იზრდება სანაპიროზე".

1843-1844 წლებში პალასტომისა და მდინარე ფიჩორის ნაპირების ხილვით გაოცებული კარლ ჰინრიხ ემილ კოხი წერდა: „გარშემო დიდებული მკენარეულობაა, ამ ტყეს მართალც შეიძლება ჰქონდეს უღრანი ტყის პრეტენზია, რადგანაც ადამიანს ამ ტყით არასოდეს არ უსარგებლია. უზარმაზარი ხეები დროის გამანადგურებელ გავლენას ვერარ უძლებდნენ და მძლავრი ქარიშხლის დროს ეცემოდნენ მომცრო ზომის ხეებს შორის, რომლებიც თავიანთ წარმოშობას, ალბათ მთ უნდა უმადლოდნენ. ასეთი უღრანი ტყე თავისებურია და ამაღლებულ გრძნობებს იწვევს, თუმცა სამხრეთის ზღვის კუნძულების, ანდა ბრაზილიის ტყეს ვერ შეედრება. აქ უმთავრესად იშვიათი სილამაზის წითელი წიფელი ხარობს. ტყის განაპირას დგანან მუდამ მწვანე ბაძგები და ბზები, ხოლო უმეტესწილად ტყეში გვხვდება პონტოს იელი. მშვენიერი სანახავია ერთი ფუტის სიმსხო ვაზი ლერწებით რომ შემოხვეია მეზობელ ხეს და საერდენის შოენით გახარებული ხის ტანს კენწერომდის მიჰყვება. ზოგან იგი უფრო სუსტ ლერწმებს ახვევს ხეს, რომ მთელი გვირგვინი ვაზის ლერვი და ოქროსფერი მტევნებით მოფინოს.

უსიერი, უღრანი, უდაბური, გაუვალი ტყე ხარობდა როგორც ზღვისპირეთში ასევე „ოზურგეთის ქვეყნის" მთათა კალთებზე. მდინარე სუფსა-მოგროსის, ნატანებ-ისისის, გუბაზოულის, კალაშას, ბაზვისწყალის, ბეუეის, მდინარეთა მთელ მონაკვეთზე, შესართავიდან ვიდრე სათავეებამდე. გერონტი ქიქოძე თავის მოგონებათა ვრცელ ამონაწერში: „განთიადიდან შუადღემდე" მოგვითხრობს:

ბახმაროს გზა „ალაგ-ალაგ ტყით დაფარულ უფსკრულს მისდევდა, საიდანაც მთის მდინარის ღრიალი ისმოდა. ტყე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს სხვა გეოლოგიური ეპოქიდან იყო დარჩენილი, როდესაც ჩვენი დედამიწის ზურგზე უფრო მსხვილი ტანის ცხოველები და მკენარეები ცხოვრობდნენ.

მგზავრს თავდაპირველად თხმელის შემდეგ წიფლის, ბოლოს ნაძვისა და ფიჭვის ხშირი ტყე უნდა გაევლო. უზარმაზარ, მდუმარედ მდგომარე ხეებს სიბერისაგან ხავსი მოსდებოდა... ზოგი მათგანი წაქცეულიყო და წლების განმავლობაში ლპებოდა. ზოგს კიდევ თავისი ღონიერი ფესვებით კლდე გაეხეთქა, ან უზარმაზარ ლოდს შემოხვეოდა. კაცი გაოცებული ეკითხებოდა თავის თავს, საიდან ღებულობენ ისინი მასაზრდოებელ წვენსაო. ქვის ლოდები გადალესილნი იყვნენ, თითქო ზღვის ტალღების მიერ გალოკილნი იმ შორეულ ეპოქაში... ტყის ნიადაგი დაფარული იყო შქერით, ანუ დეკით, გვიმრით, შავნაყოფიანი წყვითა და მოცვით.



დაახლოებით ორი კილომეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან ეს უღრანი, ხელუხლებელი ტყე თავდებოდა და ჯერ შქერიანი და არყიანი დაბალი ტყე, ხოლო შემდეგ ალპური სამოვრების ზონა იწყებოდა.

დიდი გუბაზ ერისთავთ-ერისთავის უკიდეგანო მამულის აღწერილობაში სადაც იშვიათი მიმზიდველობითაა ასახული გურიის ლანდშაფტის თავისებურება, მოსე გოგიბერიძე გვაუწყებს:

„ზოტიყელის ფერდში აქვს სათავე გუბაზეულს. ათასწლოვანი ნაძნარის ტყეებით ქვებზე მოხტის ეს გიჟი ღელე, მალე მდინარედ ქცეული, ულამაზესი პეზაჟით გარშემორტყმული. ალპურ ველს არქაული ფიჭვნარ-ნაძნარი აგრძელებს. ნაძნარს კი უღრანი ტყე გიგანტური წიფლისა და ნაძვის.

ასი წლის წინად გიჟი მდინარე წიფლისა და ცაცხვის ტყეს ზოტიმერიას ქვემოთ ნიგვზნარით ცვლიდა. დღეს კი გურიის მთის ჭალის გიგანტური ნიგოზი იქ ისე აღარსად სჩანს, როგორც მუხა გიგანტი, გურიის ზეგანზე რომ იზრდებოდა... გურიის მთებს შორის იყო დავანებული საერისთაო მიდამო გადმოტყორცნილი მაღალი მთებიდან სამკუთხედად ჩაჭედილი ორი მდინარის ჩარჩოში.

სუფსისა და გუბაზოულის შესართავში წვეტიან კლდე-ჭალას ეკრდნობა სამკუთხედის მწვერვალი, სამკუთხედის ფუძე კი კალაშასა და გუბაზოულის შესართავთან იწყება, და გურიის მთების კალთებზე გავლით მდინარე სუფსაში დაეშვება სოფელ ქვემო სურებთან.

მეოცე საუკუნის დამდეგს აქა-იქ კიდევ იყო დაცული ნაგრეები სასახლისა და საერისთაო ციხესიმაგრეებისა. ძველისძველი გუბაზეულის მარკვენა მხარეს, შემაღლებაზე იწყებოდა საერისთაოს უღრანი ტყე. ჯერ „კოპიტნარი", შემდეგ დაბალ სერზე გადასვლით — „წყავის შტო". მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ერისთავების ტყე რუსის ხელმწიფემ ჩამართვა და მისი დაცვა მოხელეს ჩაბარა.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ერისთავის სამკვიდროში ნახევრად ფოთლოვანი ტყე კიდევ იყო დაცული. დღეს კი თითქმის ეწერია, სადაც წინათ უღრანი ტყე იდგა.

იშვიათ სურათს წარმოადგენდა ეს ტყე, განსაკუთრებით ზამთარში, როცა ტიტველნი იდგნენ გიგანტური წიფლები და მრავალტოტა კოპიტები, ძირგაქსოვილი და ძირგამოქარგული ნაძვისა და შქერის ისეთი მჭიდრო მარადმწვანე ფოთლოვნებით, რომ მგელი ძლივს დაძრწოდა წყავისა და შქერის ქსოვილში. ბუნების უხვსა და ლამაზ ხელს აქ სინამდვილეში ორი ტყე გაეშენებინა — ჩვეულებრივი და ფოთლოვანი, ზამთარს რომ ტიტვლდებოდა და შქერნარი და წყავნარი, მარად რომ არის მწვანე და თითქოს ყვავილოვანიც.

ერისთავების დროს ტყე სავსე ყოფილა ნადირით. არე შემოდგომაზე, როცა მთიანი გურიის უღრანი და გაუვალი ტყეები თოვლით დაბურებოდა, არჩვითა და შველით ავსებოდა კოპიტნარისა და წყავისტოს თბილი ტყეები.

ნადირობა ერისთავისა და მისი აზნაურებისათვის მეურნეობაც იყო და სამხედრო ვარჯიშიც უკანასკნელ ერისთავთა ეზოში ასიოდე მწევარს და ოციოდე მაძებარს აგებებდა ბეჭია ჟღენტი და კაპუტ შეკარდენთა და მიმინოთა მთელ გროვას ბაზიერი ჩხიკვიშვილი.

ერისთავის სასირე ბადეთა უხუცესი შალიკაშვილი ათასობით ითვლიდა ბადეში გახლართულ მტრედსა და გვრიტს. ხოხბის ტკაცუნს გაებრუნებინა ჭალა და ზეგანი. ფერვანა ბუკია, ერისთავის მეთევზე გოდრობით იჭერდა გემრიელ წვერას ერისთავის ფაცერში.

მეცხრამეტე საუკუნის დამლევს კიდევ მოჰყვა ეს იდილია ფეოდალურ საქართველოსი. მოვიდა მეოცე საუკუნე და ყოველივე გაქრა. დროთამსვლელობამ შთანთქა გურიის ერისთავიცა და საერისთაოს ზეგნების მრავალფეროვნებაც. შვლის ნუკრი აღარ დახტის წყავის შტოში და ხოხობი აღარ ბუდობს კოპიტნარში. დღეს მგელი შველზე აღარ ნადირობს წყავის შტოს შქერნალში. ქა-იქ ზამორობით კიდევ ღანღალობს გრძელნისკარტა ტყის ქათამი და ზაფხულობით კიდევ ღულუნებს ორიოდე გვრიტი ზეგრაზე.

უსიერი უღრანები და თვაშეუდგამი უღრანები, „გიგანტური კავკასიური მუხა გურიის პირშო იყო ისტორიულ წარსულში ნიგოითის ქედზე, დედათა მონასტრის ეზოში იდგა ერთ-ერთი ასეთი მუხა და სწამდათ, რომ მასზე წმინდანი ვდებოდა. როდესაც დარწმუნდნენ წმინდანი საშიში აღარაა, მოსჭრეს იგი. დაეცა „ხელფეხიანი" მუხაც ჯვარცმის ზეგანს რომ აშშვენებდა. წარიხოცა მშვენიერი ლანდშაფტი ერისთავის ზეგნისა, „მაღალი მუხიდან გადმოტყორცნილი კრიმანჭულივით უსასრულობაში გადახლართული აკორდი.

არცთუ შორეულ წარსულში დასავლეთ საქართველოს — ოდიშისა და გურიის ტყეები თვალში ეცათ, მთა დახარბდნენ და ქვეყნის ფარგლებს გარეთ მისი გატანით ხელის მოთბობა განიზრახეს მრავალთა: შინაურმა თუ გარეშემ, უცხოელმა თუ ახლობელმა, მტერმა თუ მოყვარემ, დასავლეთ საქართველოს და „ოზურგეთის ქვეყნის" იშვიათი ჯიშების შესყიდვის სურვილი აღეძრათ „მისრეთის ქვეყანაში", შორეულ ეგვიპტეში, სარდინიაში, ინგლისში.

1835 წელს რუსეთის გენერალურმა კონსულმა დიუგამელმა ალექსანდრიაში, კავკასიის მთავარმართებელ ბარონ გრიგოლ ვლადიმერის ძე როზენს აცნობა: თავად ლევიის მეშვეობით გავიგე სამეგრელოში ტყეების სიუხვისა და აქედან ტყის ექსპორტის მეოხებით შესაძლებელი სარგებლობის შესახებ.

ალექსანდრიის გენერალური კონსული ხე-ტყის ექსპორტის თაობაზე „ბრწყინვალე პორტას" წინააღმდეგ მოჯანე ეგვიპტის ფაშა მუჰამედ ალის დაუკავშირდა, რომელმაც წარმომავლობით ქართველ ეგვიპტელ მამლუქთაგან მშვენივრად უწყოდა არა მარტო დასავლეთ საქართველოს ხე-ტყის იშვიათი ჯიშების სიუხვე, არამედ ქართული მსოფლიოს პოლიტიკური ვითარებანი.

ენვერ გოგუაძე

მძლეოსნობა

1-8 ოქტომბერს ქ. ახალციხემ უმასპინძლა ღია საერთაშორისო ჩემპიონატს მძლეოსნობაში ახალგაზრდებს შორის, რომელშიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის ნაკრები გუნდი მონაწილეობდა. შეჯიბრება უმაღლეს დონეზე ჩატარდა. სტუმრებს წარმოადგენდნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის ნაკრები გუნდები.

საქართველოს ჩემპიონის ტიტული და I საპრიზო ადგილი დაიკავა ამირან თავართქილაძემ 100მ რბენაში შედეგი 11.0 წამი და III საპრიზო ადგილი 800მ რბენაში შედეგი 15803, ასევე II საპრიზო ადგილის მფლობელი გახდა ბადრი გოგიტიძე შედეგი 1104, ასევე შუბის ტყორცნაში კარგი შედეგი აჩვენა გიორგი დეკანოიძემ, რომელიც IV იყო საერთო ჯამში შედეგით 38.49მ.

გუნდი შეჯიბრებისათვის მოამზადა მარინე კოტრიკაძემ, რომელიც დიდ მადლობას უხდის

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის დირექტორს გოჩა კვანტალიანს მხარდაჭერისათვის.

ოზურგეთელ ფალავანთა თვალსაჩინო შედეგები

ნუკრი ნიკოლაიშვილი

გამოჩენილი ფალავნის ოთარ ბაკურიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (ახალგაზრდებს შორის) წლეულს ბათუმმა უმასპინძლა.

ტურნირში იასპარეზეს სომეხმა, აზერბაიჯანელმა, თურქმა და ქართველმა ფალავნებმა.

აღნიშნულ შეჯიბრში მონაწილეობდა ქ. ოზურგეთის გაერთიანებული სპორტის განვიარების ცენტრის ნაკრები გუნდი.

66 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა გიორგი გუჯაბიძე (მწვრთნელები ზურაბ და ირაკლი ზურაბიანები).

მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს: შოთა ღლონტმა (50 კგ) და ნიკა აბულაძემ (55 კგ). ორთავე ფალავნის მწვრთნელია გურამ მაჭარაშვილი.

60 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობის მესამე პრიზიორი გახდა აწზორ ჯავახაძე (მწვრთნელი კახა აბაშიძე).

„კლასიკოსთა“ ასპარეზობაზე

13 ოქტომბერს ოზურგეთის სპორტსკოლის საჭიდაო დარბაზში ჩატარდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (ჭაბუკთა შორის).

თავიანთ წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ ბექა ქათამაძე (38 კილოგრამი), გოჩა ირემაძე (42 კგ), მანუჩარ გიორგაძე (46 კგ), გიორგი თოხაძე (50 კგ), ნიკა აბულაძე (54 კგ), გიორგი ჯანხოთელი (58 კგ), რატი წიკლაური (63 კგ), ზურაბ ხავთასი (69 კგ), საბა ჩხარტიშვილი (76 კგ), ცოტნე ცინცაძე (85 კგ) და კუკური ბარბაქაძე (100 კგ).

დაკომპლექტდა ოზურგეთის ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მიხეილ სალაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირში.

აღნიშნულ ასპარეზობას 21-23 ოქტომბერს საქართველოს დედაქალაქი უმასპინძლებს.

ლეგენდარული მუსიკოსი ნობელიანტი გახდა!..

(პოლიტიკური რეპლიკის მაგიერ)

ნუკრი ნიკოლაიშვილი

ქართულ სინამდვილეში არცთუ უხმაუროდ დასრულდა საარჩევნო ციებ-ცხელება.

საარჩევნო ბატალიების ფონზე ერთგვარ სენსაციის ტოლფას ინფორმაციად გაიჟღერა ცნობამ წლევანდელი ნობელის პრემიის მინიჭებისა და ნობელიანტის ვინაობის დასახელების თაობაზე: ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია წლეულს საქვეყნოდ ცნობილ პოპ-მუსიკოსს ბობ დილანს მიენიჭა!..

54 წლის ლეგენდარულმა პოპ-მუსიკოსმა ეს ფრიად პრესტიჟული ჯილდო ახალი პოეტური ენის შექმნისთვის დაიმსახურა.

თუმცა, გავრცელებული კულუარული ინფორმაციით და მოარული ხმების თანახმად, პოპულარული მუსიკოსის ლიტერატურული შემოქმედება დიდი პოეტური ავანტიურაა!..

„„მერცხალმა“ „მაჭახელა“ დაამარცხა

გუნდი	თ	მ	ფ	წ	გგ	გმ	+/-	ქ
ბეთლემი	8	7	0	1	28	9	19	21
ეგრისი	8	6	1	1	19	4	15	19
მერცხალი	8	5	1	2	17	12	5	16
სალხინო	8	4	2	2	15	6	9	14
ლესიჭინე	8	3	2	3	15	17	-2	11
მაჭახელა	8	3	0	5	8	13	-5	9
კოლხეთი. ხ	28	1	0	7	10	26	-16	3
ჩელა 1999	8	0	0	8	5	30	-25	0

ფეხბურთში საქართველოს პირველობის მეორე ლიგის დასავლეთის ბ ზონაში მერვე ტურის მატჩში ოზურგეთის "მერცხალმა" საკუთარ "შეგობრობაზე" ხელვაჩაურის "მაჭახელა" მიიღო და ჯაყელისა და მაჭავარიანის გოლების წყალობით 2-1 დაამარცხა. (ჯაყელი, მაჭავარიანი).

„მერცხალს“ 8 ტურის შემდეგ 16 ქულა აქვს. (5 მოგება, ერთი ფრე, ორი მარცხი).

მილოცვა

ჩვენი მეგობარი ანა 11 წლისაა

თხინვალის საჯარო სკოლის მე-6 კლასის დამრიგემელი ლელა ქვილიტრია, მოსწავლეები: თამარ დარსალია, თორნიკე მოლქვაძე, ლუკა გომრელიძე, ნოდიკო დონაძე, გიორგი ხითარიშვი დამადგმის დღეს ულოცავთ ჩვენს თანაკლასელს, ანა ბაბილოძეს (მარცხნიდან მეექვსე). ვუსურვებთ ყოველივე კარგს.

მადლობა

ამა წლის 24 სექტემბერს სამსახურში მომპარეს საფულე, რომელშიც მქონდა მნიშვნელოვანი საბუთები და თანხა. დახმარებისათვის მივმართე ოზურგეთის რაიონის უბნის ინსპექტორ გამომძიებლებს ბატონებს კახა სიხარულიძეს, გიორგი ნემსაძეს და სერგო რუხაძეს, რობლებიც დიდი ყურადღებითა და ოპერატიულობით შეუდგნენ მომხდარი ფაქტის შესწავლას. შედეგმაც არ დააყოვნა. დამნაშავეები უმოკლეს დროში ცხელ კვალზე დააკავეს.

უღრმესი მადლობა მათ. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო ოზურგეთის რაიონის სამართველოს უბნის ინსპექტორების განყოფილების უფროსს ბატონ არსენ ახალკაცს და გამომძიებელს ბატონ უჩა ჩაგანავას მაღალი პროფესიონალიზმისა და გულისხმიერებისათვის. მადლობას ვუხდი „ეუროპე-ბეტ.ცომ" -ის თანამშრომლებს თანადგომისა და სათვალთვალო კამერიდან დანაშაულის ამსახველი კადრების მოწოდებისათვის.

პატივისცემით ნონა ჯაყელი

ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2“ გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს ზიდა 0% განვადება. უპირველენდენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ.№ 11ა.

(რ)

7 დღის ამინდის პროგნოზი

მცირე წვიმა +6+11
17 ოქტომბერი
ორშაბათი

მზე, +5+14
18 ოქტომბერი
სამშაბათი

მზე, ღრუბელი +5+15
19 ოქტომბერი
ოთხშაბათი

მზე, ღრუბელი +6+18
20 ოქტომბერი
ხუთშაბათი

მზე, ღრუბელი +10+16
21 ოქტომბერი
პარასკევი

მზე, ღრუბელი +11+19
22 ოქტომბერი
შაბათი

მზე, ღრუბელი +11+20
23 ოქტომბერი
კვირა